პ.პ "სამართლიანობისთვის" P.P "FOR JUSTICE"

№ 11

10/12/2020 წ

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს

უფროსს ბესიკ ქოჩიაშვილს

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით აუდიტის დასკვნას ჩვენს მიერ 2020 წლის 01 სექტემბრიდან 2020 წლის 13 ნოემბრის ჩათვლით წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე..

დანართი: 3 ფურცელი

პატივისცემით,

პ/პ „სამართლიანობისთვის“

თავჯდომარე

ეკა ბესელია

№ 7655/09
"11" 12 2020
7/3 ფ.

პ.პ "სამართლიანობისთვის"
მის.: ქ. თბილისი 0108, პ. ინგოროყვას #12
ტელ.: +995 599 99 69 53
e-mail: forjustice.info@gmail.com
www.forjustice.ge

P.P "FOR JUSTICE"
Address: 12, P. Ingorokva st. Tbilisi 0108
phone: +995 599 99 69 53
e-mail: forjustice.info@gmail.com
www.forjustice.ge

10 დეკემბერი, 2020 წელი №92-ა

აუდიტორული დასკვნა

ა(ა)იპ „სამართლიანობისთვის“ 2020 წლის 1 სექტემბტიდან 13 ნოემბრის (ჩათვლით) პერიოდის საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების ფინანსური ანგარიშის შესახებ

ანგარიში მომზადებულია ა(ა)იპ „სამართლიანობისთვის“ (შემდგომში - „პარტია“) და აუდიტურ კომპანია „კომპაუდს“ (შემდგომში - აუდიტური კომპანია) შორის 2020 წლის 24 ნოემბერს გაფორმებული #56-ა ხელშეკრულების შესაბამისად. ხელშეკრულება ითვალისწინებდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2016 წლის 5 მაისის №2915/21 ბრძანების („პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მ ოწესრიგების შესახებ“) მოთხოვნით შედგენილი, 2020 წლის 1 სექტემბრიდან 13 ნოემბრის (ჩთვლით) პერიოდის ფინანსური ანგარიშის (თანდართული ფორმებით) აუდიტს, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნებთან.

„პარტია“ რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის 25 ივლისს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი - 415030184.

<u>ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით</u>

„პარტიის” ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშის მომზადებასა და მის წარდგენაზე - რაც უნდა შესაბამებოდეს „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მ ოწესრიგების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2016 წლის 5 მაისის №2915/21 ბრძანებით დამტკიცებულ ფინანსური ანგარიშის ფორმებისა

ეროვნული სტანდარტის მოთხოვნებს. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. მითითებული პასუხისმგებლობა მოიცავს აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას, ასევე შესაბამისის და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასების გაკეთებას.

<u>აუდიტორის პასუხისმგებლობა</u>

აუდიტური კომპანიის პასუხისმგებლობაა, აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშზე. აუდიტი წარიმართა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ანგარიშგება არსებით უზუსტობას. აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ბუღალტრული ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის საფუძველს წარმოადგენს დასკვნის გასაცემად.

დასკვნითი აზზაცი

ჩვენი აზრით, ა(ა)იპ „სამართლიანობისთვის“ მიერ წარმოდგენილი 2020 წლის 1 სექტემბრიდან 2020 წლის 13 ნოემბრის (ჩათვლით) პერიოდის (საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების) ფინანსური ანგარიში არ შეიცავს არსებით უზუსტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს „პარტიის“ ფინანსურ მდგომარეობას, რომელიც მომზადებულია „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2016 წლის 5 მაისის №2915/21 ბრძანების მოთხოვნათა დაცვით.

აუდიტური კომპანია „კომპაუდის“
დირექტორის მინდობილი პირი,
აუდიტორ-პარტნიორი,
(სერტიფიკატი: საჯარო სექტორში
№0299, Saras-A-859265)

ნ. ხიჯაკაძე

LTD kompaudi

Digitally signed by LTD kompaudi
Date: 2020.12.10 12:57:04 +04'00'